

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 ივნისის №21-12 ოქმით  
ცვლილება №1 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით  
ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით  
ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით

## **ღირსების კოდექსი**

### **პრეამბულა**

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამები, საუნივერსიტეტო დებულებები მიმართულია იმისკენ, რომ სტუდენტს მისცეს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მას აქცევს სამართლებრივი, დემოკრატიული, ჰუმანური, მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოების ღირსეულ წევრად.

ამ შედეგის ეფექტურად მიღწევა შესაძლებელია თითოეული სტუდენტის, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო ძალისხმევით. ეს განაპირობებს უნივერსიტეტში პარტნიორული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რისი ხელყოფაც ქმნის საერთო მიზნების მიღწევის საფრთხეს და, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს წინამდებარე კოდექსის დებულებების გათავისებით.

### **მუხლი 1. შრომა და კეთილსინდისიერება**

1. უნივერსიტეტის სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობაა შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება.
2. დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლა, მათ შორის, ხმაური და მობილური ტელეფონით სარგებლობა ბიბლიოთეკაში, ასევე აუდიტორიაში გამოცდის ან ლექციების მსვლელობის დროს.
3. ცოდნის შეფასების კომპონენტში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი პროცედურების წარმოება ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკით დადგენილი წესით.

### **მუხლი 2. პარტნიორობა და ურთიერთპატივისცემა**

1. სტუდენტი, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები.
2. სტუდენტები და პერსონალი ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ უნივერსიტეტის პრესტიჟს. მიუღებელია არაეთიკური ქმედება, შეურაცხყოფა და ცილისწამება უნივერსიტეტის ან მისი პერსონალის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 ივნისის №21-12 ოქმით  
ცვლილება №1 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით  
ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით  
ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით  
გავრცელება, ასევე უფლებამოსილი პერსონალის მითითებისადმი დაუმორჩილებლობა,  
უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესების/დებულებების დარღვევა.

3. სათანადო უფლებამოსილების გარეშე აკრძალულია უნივერსიტეტის მატერიალური და არამატერიალური ქონებით სარგებლობა ან/და დაზიანება.

3<sup>1</sup>. დაუშვებელია გამოცდის საპატიოდ ჩათვლის მიზნით ექიმისათვის განზრახ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ცვლილება №1 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით).

4. თითოეული სტუდენტი, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გაითვალისწინოს სხვისი და, ზოგადად, უნივერსიტეტის მიზნები და ნებისმიერი მოქმედება დაუქვემდებაროს საერთო საგანმანათლებლო ინტერესებს; ვალდებულნი არიან დაიცვან თანაზომიერების პრინციპი და გამოიყენონ მხოლოდ ის საშუალებები, რაც აუცილებელია კონკრეტული მიზნების მისაღწევად და არსებითად არ ხელყოფს სხვათა ინტერესებს.

5. დაუშვებელია პიროვნების სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით შევიწროვება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ინდივიდის ღირსების ხელყოფას. აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

### **მუხლი 3. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები**

1. არამართლზომიერი/არაკეთილსინდისიერი ქცევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სათანადო წესით მოპოვებულ და შესწავლილ მტკიცებულებებს. დისციპლინური დევნა უნდა იყოს გადაცდომის პროპორციული.

2. დისციპლინური დევნის დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 ივნისის №21-12 ოქმით ცვლილება №1 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით უქმნის სხვის უფლებებს.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის განხორციელების საფუძველებია:

ა) უნივერსიტეტის დოკუმენტების ან ჩანაწერების გაყალბება;

ა<sup>1</sup>) უნივერსიტეტის ქონების დაზიანება;

ბ) შეფასების მიღების მცდელობა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი გზით;

ბ<sup>1</sup>) გამოცდის ჩატარებისათვის ხელის შეშლა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა;

გ) სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის მიმართ ძალადობა, მუქარა ან უხეში შეურაცხყოფა;

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის მოხმარება-გავრცელება;

ე) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ასაფეთქებელი ან საშიში ნივთიერებებით გადაადგილება;

ე<sup>1</sup>) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა, აგრეთვე ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ბილეთების (გარდა წამახალისებელი გათამაშების ბილეთებისა) გაყიდვა/გავრცელება (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით);

ე<sup>2</sup>) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით);

ვ) დისკრიმინაციული ქმედება ან სექსუალური ძალადობა;

ზ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ჩადენა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

#### **მუხლი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა**

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს უნივერსიტეტის დისციპლინურ საკითხთა კომისია შესაძლო დარღვევაზე უფლებამოსილი პირის მომართვის საფუძველზე. კომისიის მუდმივი წევრები არიან: რექტორი, პრორექტორი იურიდიულ დარგში, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი, სტუდენტურ საქმეთა

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 ივნისის №21-12 ოქმით ცვლილება №1 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით ცენტრის პრეზიდენტი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევა იმ სკოლის დირექტორი ან/და აკადემიური თანამდებობის პირი ან სამსახურის უფროსი, რომლის სტუდენტის/პერსონალის საკითხიც განიხილება (ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით).

2. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს/ პერსონალს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

3. დისციპლინური კომისია, მოპოვებული მასალების შესწავლის, სტუდენტის/პერსონალის არგუმენტების მოსმენის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ. გამოყენებული ზომა უნდა იყოს გადაცდომის პროპორციული.

4. პრორექტორი იურიდიულ დარგში პასუხისმგებელია დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების კონტროლზე.

## **მუხლი 5. დისციპლინური სანქციები**

1. დისციპლინური სანქციებია:

- ა) ზეპირი/წერილობითი გაფრთხილება;
- ბ) არამართლზომიერად მიღებული შეფასების გაუქმება;
- გ) ფულადი ჯარიმა უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში ან თამბაქოს მოხმარების შემთხვევაში „საქართველოს უნივერსიტეტში თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებით მოქმედი წესების“ შესაბამისად;
- გ<sup>1</sup>) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრის ვადით;
- დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 ივნისის №21-12 ოქმით  
ცვლილება №1 დამტკიცებული 2013 წლის 5 აპრილის აკადემიური საბჭოს №17-13 ოქმით  
ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს №20-13 ოქმით  
ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 7 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №42-14 ოქმით  
1<sup>1</sup>. პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და შრომითი  
კონტრაქტის შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ისეთი  
მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც უნივერსიტეტთან შემდგომ თანამშრომლობას  
შეუძლებელს ხდის.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დისციპლინური პასუხისმგებლობის ფაქტის დადგენისა  
და შესაძლო სანქციის შესახებ ინფორმაცია გახადოს საჯარო. ინფორმაცია არ უნდა  
შეიცავდეს კონკრეტული პირის სახელს.

## **მუხლი 6. დასკვნითი დებულება**

წინამდებარე კოდექსი მოქმედებს:

ა) სტუდენტის მიმართ;

ბ) ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ, თუ  
საქართველოს უნივერსიტეტის შინაგანაწესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.